ხელშეკრულება N 53
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA170005772)

ქ. ქუთაისი

" 08 " მაისი 2017 წ.

CPV–50700000

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი (მის: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა #12, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 212698730), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დეპარტამენტის დირექტორის თორნიკე მუშკუდიანის სახით და მიმწოდებელი:

შპს „ჯეოონო", საიდენტიფიკაციო კოდი 416292185;

მისამართი, ტელეფონი: ქ. რუსთავი, სააკაძის ქ. 2/44. ტელ: 592888788;

დირექტორი: ონისე საბიაშვილი;

საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22; ანგ. ანგარიში:GE15PC0303600100018716

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ SPA170005772 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების საგანი

კონდენციონერების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად

(CPV-50700000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 15000(თხუთმეტიათასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ასევე მის გარეშე;

ბ) წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მომსახურება უნდა განხორციელდეს შეტყობინების მიღებიდან **48** საათის განმავლობაში;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხარისხი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.2 გარანტია მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დროს გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე, ვრცელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 90(ოთხმოცდაათი) დღე.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის ვადების, ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ **იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის რაიონული და საქალაქო სამმართველოების სპეციალისტები(კომენდანტი).**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხოდ გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **3 (სამი)** დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული) ან დაგვიანებით გაწეული მომსახურების ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.6 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, მომსახურების მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების

აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერიდან/წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ან/და წუნდებული მომსახურების ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტი მე-5 და მე-6 მუხლები მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარე შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი_შემსყიდველს.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი: თორნიკე მუშკუდიანი

მიმწოდებელი

შპს „ჯეოონო“-ს დირექტორი: ონისე საბიაშვილი

ფასების ცხრილი

დანართი №1

კონდენციონერების სათადარიგო ნაწილები და მომსახურება

კონდენციონერი(სიმძლავრე 9000-12000-18000-24000 BTU)				
N	სათადარიგო ნაწილებისა და თანმდევი მომსახურების ჩამონათვალი	ზომის ერთეული	ნაწილის ერთეულის ფასი(ლარი)	ერთეულის მომსახურების ფასი(ლარი)
1	კონდესატორი 9000 btu/h	ცალი	13.72	20.58
2	კონდესატორი 12000 btu/h	ცალი	16.46	20.58
3	კონდესატორი 18000 btu/h	ცალი	20.58	20.58
4	კონდესატორი 24000 btu/h	ცალი	27.44	20.58
5	პლატა (მცირე დაზიანებით)	ცალი	17.15	41.17
6	პლატა (დიდი დაზიანებით)	ცალი	34.30	41.17
7	პლატის შეცვლა	ცალი	54.89	41.17
8	სამწვერა სარქველის შეცვლა	ცალი	34.30	75.47
9	სამწვერა სარქველის შეკეთება	ცალი	0.00	102.92
10	კომპრესორის თერმო დაჩჩიკი	ცალი	6.86	20.58
11	ტემპერატურის თერმო დაჩჩიკი	ცალი	6.17	20.58
12	სისტემის მილის შეცვლა (16მმ)	მეტრი	7.54	27.44
13	სისტემის მილის შეცვლა (12მმ)	მეტრი	5.48	27.44
14	სისტემის მილის შეცვლა (10მმ)	მეტრი	4.11	27.44
15	სისტემის მილის შეცვლა (6მმ)	მეტრი	2.74	27.44
16	მილის თბო იზოლაცია	მეტრი	1.02	6.17
17	პლატის ტრანსფორმატორი	ცალი	19.89	20.58
18	გარე ვინტილი (9000btu/h-12000btu/h)	ცალი	30.19	34.30
19	გარე ვინტილი (18000btu/h და 24000btu/h)	ცალი	41.17	48.03
20	სისტემაში გაჟონვის მოძებნა და ლიკვიდაცია	ცალი	0.00	37.05
21	სისტემის ვაკუმიზაცია	ცალი	0.00	41.17
22	სრული დატენვა გაზით (რ-22, რ-407, რ-410)	ცალი	17.15	51.46
23	შიდა აგრეგატის ფრთა	ცალი	22.64	34.30
24	გარე აგრეგატის ფრთა	ცალი	22.64	34.30
25	შიდა აგრეგატის ძრავი (9000btu/h-12000btu/h	ცალი	36.36	34.30
26	შიდა აგრეგატის ძრავი (18000btu/h-24000btu/h)	ცალი	51.46	34.30
27	გარე აგრეგატის ძრავი (9000btu/h-12000btu/h)	ცალი	48.71	34.30
28	გარე აგრეგატის ძრავი (18000btu/h-24000btu/h)	ცალი	54.89	34.30
29	ელექტრო კლაპანის, მაგნიტური გამშვები.	ცალი	20.58	27.44
30	პულტი (უნივერსალური)	ცალი	13.72	0.00
31	ძრავის ჩამრთველი ავტომატი	ცალი	34.30	34.30
32	კონდენციონერის საკიდი	ცალი	17.15	0.00

	ფრეონის დამატება რ22	კგ.	17.15	27.44
	ფრეონის დამატება რ407-410	კგ.	20.58	24.01
35	კომპრესორი (9000btu/h)	ცალი	185.26	68.61
36	კომპრესორი (12000btu/h)	ცალი	219.57	75.47
37	კომპრესორი (18000btu/h)	ცალი	301.91	82.34
38	კომპრესორი (24000btu/h)	ცალი	363.67	89.20
39	შიდა ბლოკის (ფილტრი, რადიატორი, ვენტილატორი) გაწმენდა სპეც. ხსნარით	ცალი	4.80	27.44
40	გარე ბლოკის გაწმენდა სპეც. ხსნარით	ცალი	4.80	27.44
41	დრენაჟის სისტემის რემონტი	ცალი	0.00	34.30
42	კონდიციონერის სტანდ. მონტაჟი (9000-12000-18000-24000 btu)	ცალი	0.00	68.61
43	კონდიციონერის არასტანდ. მონტაჟი(9000/12000/18000/24000 btu).	ცალი	0.00	96.06
44	კონდიციონერის დემონტაჟი	ცალი	0.00	41.17
45	კონდიციონერის დემონტაჟი–მონტაჟი (სხვადასხვა ადგილზე)	ცალი	0.00	109.78
46	კონდიციონერის გარე ბლოკის დემონტაჟი–მონტაჟი	ცალი	0.00	48.03
47	კონდიციონერის შიდა ბლოკის დემონტაჟი–მონტაჟი	ცალი	0.00	34.30
48	კონდიციონერის შიდა ბლოკის დემონტაჟი	ცალი	0.00	20.58
49	კონდიციონერის შიდა ბლოკის მონტაჟი	ცალი	0.00	20.58
50	კონდიციონერის გარე ბლოკის დემონტაჟი	ცალი	0.00	34.30
51	კონდიციონერის გარე ბლოკის მონტაჟი	ცალი	0.00	34.30
52	კონდიციონერის დემონტაჟი–მონტაჟი (ერთ ადგილზე)	ცალი	0.00	109.78
53	ამწე (კალათა)	1 სთ	0.00	68.61
	ჯამი:		1,801.35	2,183.79
		3,985.14		

	კოლონური კონდენციონერი(სიმძლავრე 36000-48000-60000 BTU)			
N	სათადარიგო ნაწილებისა და თანმდევი მომსახურების ჩამონათვალი	ზომის ერთეული	პრეტენდენტის შემოთავაზებული ერთეულის ფასი (ლარი)	პრეტენდენტის შემოთავაზებული ერთეულის მომსახურების ფასი (ლარი)
1	შიდა ბლოკის(ფილტრი, რადიატორი, ვენტილატორი) გაწმენდა სპეცხსნარით	ცალი	4.80	37.73
2	გარე ბლოკის გაწმენდა სპეცხნარით	ცალი	4.80	37.73
3	შიდა აგრეგატის ძრავის შეკეთება	ცალი	34.30	58.32
4	შიდა აგრეგატის ძრავის შეცვლა	ცალი	61.75	58.32
5	გარე აგრეგატის ძრავის შეცვლა	ცალი	75.47	61.75
6	კონდესატორის შეცვლა	ცალი	17.15	27.44
7	სოლენოიდის კოჭის შეცვლა	ცალი	20.58	24.01
8	სოლენოიდის მთლიანად შეცვლა	ცალი	44.60	61.75
9	ძრავის გამშვები ავტომატი	ცალი	34.30	34.30

	[illegible]ის სითბური დამცველი	ცალი	4.80	34.30
[illegible]	[illegible]ილა სითბური დამცველი	ცალი	7.54	34.30
12	პლატის შეცვლა	ცალი	75.47	48.03
13	სისტემის მილის შეცვლა (19მმ)	მეტრი	10.97	27.44
14	სისტემის მილის შეცვლა (12მმ)	მეტრი	5.48	27.44
15	მილის თბოიზოლაცია	მეტრი	0.68	6.51
16	კომპრესორი 36000 BTU(r-22)	ცალი	425.42	101.55
17	კომპრესორი 48000 BTU(r-22)	ცალი	494.04	101.55
18	კომპრესორი 60000 BTU(r-22)	ცალი	603.83	101.55
19	კონდენციონერის დემონტაჟი	ცალი	0.00	82.34
20	კონდენციონერის მონტაჟი	ცალი	0.00	116.64
	ჯამი		1925.98	1083.00
		3008.98		
	სულ	6,994		

შემსყიდველი
იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი: თორნიკე მუშკუდიანი

მიმწოდებელი

შპს "ჯეოონო"-ს დირექტორი : ონისე საბიაშვილი